KA015573679756816

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ - იუსტიციის სახლის ფილიალის, თბილისის იუსტიციის სახლის შენობა-ნაგებობიდან 12კვ.მ. ფართის ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით იჯარით გაცემის შესახებ

№595/ს **23 / აგვისტო / 2016 წ.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების”, სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის № 1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის 19.08.2016 წლის №5501 და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 22.08.2016 წლის №5/43384 წერილების, სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს 16.09.2015 წლის №01.07.1194 დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. განხორციელდეს სსიპ-იუსტიციის სახლის ფილიალის, თბილისის იუსტიციის სახლის შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი № 01.18.03.003.024) ნულოვან, პირველ, მეორე და მესამე სართულებზე 9 (ცხრა) ერთეული ელექტრონული სავაჭრო აპარატის (შემდგომში - აპარატი) განსათავსებლად, 12$მ^2$ შენობის ფართის იჯარით გაცემა, კერძოდ, ნულოვან სართულზე არსებული ფართიდან - 6.5 $მ^2$, პირველ სართულზე - 1.5 $მ^2$, მეორე სართულზე-2.5$მ^2$, მესამე სართულზე არსებული-1.5 $მ^2$ (ბრძანებაზე თანდართული მონიშნული ნახაზის შესაბამისად - დანართი №1), ელექტრონული აუქციონის (პირობებიანი) ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის ვადით.
2. საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3 000 (სამი ათასი) ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა 100 (ასი) ლარით.
3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა განისაზღვროს 9 000 (ცხრა ათასი) ლარით, რომლის მოქმედების ვადაც 7 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს საიჯარო ქონების სარგებლობაში გადაცემის ვადას.
4. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2016 წლის 24 აგვისტოს და გაგრძელდეს 5 (ხუთი) დღის ვადით.
5. უძრავი ქონების იჯარის წესით სარგებლობაში გადაცემისთვის დადგინდეს შემდეგი პირობები:
ა) იჯარის საგანი გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დანიშნულებისამებრ, მოიჯარემ მოუაროს მას და მკაცრად დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების და ექსპლუატაციის წესები; მეიჯარის თანხმობის გარეშე არ განახორციელოს სხვა საქმიანობა, გარდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულისა;
ბ) უზრუნველყოფილ იქნას განთავსებული აპარატების შეუფერხებლად ფუნქციონირება, მათი ყოველდღიური შემოწმება და საჭიროებისამებრ პროდუქციის შევსება იუსტიციის სახლთან შეთანხმებულ საათებში;
გ) აპარატებში განთავსებულ პროდუქციაზე დაწესებულ უნდა იქნეს თანაბარი და ხელმისაწვდომი ფასები, რომლებიც არ უნდა აღემატებოდეს მსგავსი პროდუქციის საშუალო საბაზრო ღირებულებას;
დ) დაცულ უნდა იქნეს აპარატების სანიტარული და ჰიგიენური ნორმები. არანაკლებ კვირაში 3-ჯერ

განხორციელდეს აპარატების წმენდა შიგნიდან და გარედან თბილისის იუსტიციის სახლის ფილიალში დადგენილ არასამუშაო საათებში;

ე) გამოყოფილ იქნეს პირი (მოიჯარის თანამშრომელი ან სხვა უფლებამოსილი პირი), რომელიც აპარატის ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდენს რეაგირებას დისტანციურად ან საჭიროების შემთხვევაში ადგილზე მოსვლით;

ვ) უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მომხმარებლისთვის მიყენებული ზარალის დაუყოვნებლივი ანაზღაურება მობილურის ბალანსზე თანხის შევსებით ან ნაღდი ანგარიშსწორებით;

ზ) ელექტრონული სავაჭრო აპარატებში შესაძლებელია განთავსდეს მხოლოდ საკვები პროდუქტები; ამასთან მეიჯარე იტოვებს უფლებას, ნებისმიერი პროდუქტი, რომელსაც ჩათვლის არამიზანშეწონილად, ამოაღებინოს მოიჯარეს აპარატებიდან;

თ) აკრძალულია სავაჭრო აპარატებზე რაიმე სახის რეკლამის განთავსება, გარდა მოიჯარის საკუთარი კომპანიის რეკლამისა, რომელიც შეთანხმებულ უნდა იქნეს სსიპ - იუსტიციის სახლთან;

ი) საიჯარო ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდეს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში;

კ) გადაცემულ საიჯარო ქონებაზე, ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოფილ იქნეს გამართულ მდგომარეობაში მყოფი ელექტრონული სავაჭრო აპარატების განთავსება.

6. აპარატების ტექნიკური მახასიათებლები და მათი სპეციფიკაცია განისაზღვრება ბრძანების დანართი № 2-ის შესაბამისად.

7. დამტკიცდეს ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციის განთავსებასთან ერთად ვებ-გვერდზე გამოსაქვეყნებელი ხელშეკრულების პროექტი დანართი №3-ის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შეტყობინების მიღების დღიდან ორი კვირის ვადაში, მოიჯარეს წარმოეშობა ვალდებულება გამოათავისუფლოს საიჯარო ქონება. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარის მიერ ქონებაზე გაწეული ხარჯები (ასეთი არსებობის შემთხვევაში) არ ანაზღაურდება.

9. დაევალოს იუსტიციის სახლის მომსახურების განვითარებისა და გაყიდვების სამსახურს ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე (www.eauction.ge) განთავსება და აუქციონის მიმდინარეობის მონიტორინგი.

10. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

11. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

გივი აზაურაშვილი